

შპს ედენა

საიდ.კოდი 431945041

დირექტორი-სულხან მეტრეველი

2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური

ანგარიშგება

სარჩევი

ფორმა №1 - ფინანსური მდგომარეობა

ფორმა №2 - საქმიანობის შედეგები

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
5. მარაგები
6. ძირითადი საშუალებები
7. სავაჭრო ვალდებულებები
8. გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები
9. სასესხო ვალდებულებები
10. კაპიტალი
11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36370	152280	205122
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	444310	458028	501739
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	38461	321988	114538
მარაგები	2406542	2416490	1516098
მზა პროდუქცია	886726	942778	639627
სხვა	1519816	1473712	876471
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	12273
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1641	3118	1085
ძირითადი საშუალებები	1855880	1500123	1026930
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	4783204	4852027	3377785
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	887711	958661	574794
ანარიცხები	0	1293	1169
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7255	82403	40156
საგადასახადო ვალდებულებები	0	2614	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	815586	818854	325850
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	660514	804137	440000
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	68570	147915	80
სულ ვალდებულებები	2439636	2815877	1382049
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი ('შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',	100	100	100
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2210446	2036050	1995636
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	133022	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2343568	2036150	1995736
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4783204	4852027	3377785
სულ მოკლევადიანი აქტივები	2927324	3351904	2350855
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1779122	2011740	942049

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3965804	3267435
საქონლის გაყიდვიდან	3962377	3265479
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	3427	1956
გაყიდვების თვითღირებულება	-2592721	-2031474
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1373083	1235961
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-253116	-257403
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-133821	-84623
საპროცენტო შემოსავალი	16675	15785
საპროცენტო ხარჯი	-117430	-76155
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-574906	-442852
სულ საოპერაციო ხარჯები	-1062598	-845248
საოპერაციო მოგება	310485	390713
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-72312	-62063
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	497	17465
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	238670	346115
მოგების გადასახადის ხარჯი	-22169	-6643
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	216501	339472
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	216501	339472
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2036150	1995736
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-42105	-299058
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	133022	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2343568	2036150

შპს ედენა
სააღრიცხვო პოლიტიკა და 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ედენა რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 22/02/2010წ) კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თერჯოლა, რუსთაველის ქ N 1. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 431945041.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილს ფლობს ხუთი მესაკუთრე

- მაია კუკულაძე- 25%
- ნინო კვანჭახაძე- 8,75%
- ავთანდილ ლომთათიძე- 33,75%
- ირაკლი კვანჭახაძე- 16,25%
- გიორგი ბაქრაძე-16,25%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: 10390-ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და კონსერვირება.

ხელმძღვანელი: დირექტორი-სულხან მეტრეველი

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში

თანხა მოცემულია ქართულ ლარში	31.12.2022წ
ნაღდი ფული სალაროში-	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში-	13062
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში-	23308
ჯამი:	36370

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები (მოთხოვნები მიწოდებიდან) აღიარებულია გარიგების ფასით, ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისაგან, რომელსაც კომპანიამ მიაწოდა პროდუქცია, შემოსავლად აღიარა მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით.

5. მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში შეიტანება მისი შეძენის, ადგილზე მიტანის და წარმოების პირდაპირი ხარჯები.

კომპანია სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს აღრიცხავს აღრიცხვის უწყვეტი მეთოდით.

რეალიზებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების შესაფასებლად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

მარაგები დაყოფილია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

თანხა მოცემულია ქართულ ლარში	31.12.2022წ
მზა პროდუქცია, რომელიც გამიზნულია გასაყიდად-	886726

დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც მონაწილეობს გაყიდვისათვის გამიზნული პროდუქციის წარმოების პროცესში-

ნედლეული და მასალები რომელიც მოიხმარება წარმოების პროცესში

ჯამი:	2406542
-------	---------

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება მატერიალური აქტივი, რომელსაც კომპანია იყენებს საქონლის წარმოების, მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის და რომლის გამოყენების ვადა აღემატება ერთ წელს.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ, დანიშნულების ადგილამდე მოტანისა და მუშა-მდგომარეობამდე მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებად აღიარების შემდგომ, მასზე გაწეული ისეთი ხარჯები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი საშუალების მოდერნიზაციას, კაპიტალიზდება და ჩაირთვება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ ყოველწლიურად კლებადი ნაშთის მეთოდით და დაყოფილია შემდეგი კატეგორიის მიხედვით:

თანხა მოცემულია ქართულ ლარში		31/12/2022
შენობა ნაგებობები	5%	1053655
მანქანა-დანადგარები	20%	247915
თბოტექნიკური მოწყობილობები	8%	452885
სპეც.ინსტუმენტები და ინვენტარი	20%	13799
მიწის ნაკვეთი		75225
დაუმთავრებელი მშენებლობა		8451
სათადარიგო საშუალებები		3950
ჯამი:		1855880

არამატერიალური აქტივი შედგება ბუღალტრული პროგრამებისგან.

7. სავაჭრო ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება რომელიც აკისრია კომპანიას მოიცავს ვალდებულებათა შემდეგ კლასებს: კრედიტორული დავალიანება და მყიდველებისგან მიღებული ავანსი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოვახდინოთ პროდუქციის მიწოდება ეტაპობრივად.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

სავაჭრო ვალდებულებები- 357656

მიღებული ავანსები- 530055

ჯამი: 887711

8. გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები

მოგების გადასახადი

კომპანიამ 2022 წელს დივიდენდების სახით გასცა 125624,21 ლარი და გადაიხადა ბიუჯეტში მოგების გადასახადი 22169 ლარი.

9. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციიდან და პარტნიორი ორგანიზაციიდან მიღებულ სესხს. საკრედიტო ორგანიზაციიდან მიღებულია ბიზნეს სესხი და აგროსესხი. ბიზნეს სესხი განკუთვნილია საბრუნავი საშუალებებისთვის, აგროსესხი განკუთვნილია საწარმოო ფართის მშენებლობისათვის, ორივე სესხის პროცენტი აღიარებულია ხარჯად მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში 31.12.2022

მოკლევადიანი სესხები

საკრედიტო ორგანიზაციებიდან 621017

პარტნიორი ორგანიზაციისგან 194568

ჯამი: 815585

გრძელვადიანი სესხები საკრედიტო ორგანიზაციიდან, რომელიც შეადგენს 31.12.2022 წლის მდგომარეობით 660514 ლარს. „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სესხის ძირითადი თანხის 11%-ის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს გადახდილი აქვს 81845 ლარი.

10.კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (რომელიც მოიცავს ცვლილებებს საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.)შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილებით.

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან, რომელშიდაც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი და 2022 წლის მდგომარეობით შეადგენს 2210466 ლარს.

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციიდან გრანტის სახით 133022ლარი. კომპანიამ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები. აღნიშნული თანხა ასახულია ანგარიშგებაში როგორც საკუთარი კაპიტალის კომპონენტები.

დივიდენდები გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდში 42105 ლარი და მოხდა აღიარება როგორც ვალდებულება და გამოიქვითა კაპიტალიდან ამავე საანგარიშო პერიოდში.

11.საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში, „CNFA-საქართველოსგან კომპანიას დროებით სარგებლობაში გადმოცემული ქონდა მანქანა დანადგარები 75000აშშ დოლარის ღირებულების, რომელსაც იყენებდა კომპანია. დასრულდა პროექტი და გადმოეცემა საკუთრებაში გრანტის სახით.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 20 ივლისს.

შპს ედენას დირექტორი:

ს. მეტრეველი